

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	13
4. საწარმოთა გაერთიანება	13
5. ამონაგები.....	14
6. როიალტის ხარჯი	14
7. სხვა ხარჯები.....	15
8. ფინანსური ხარჯი, წმინდა	15
9. ძირითადი საშუალებები	16
10. არამატერიალური აქტივები.....	17
11. გაცემული სესხები	17
12. მარაგები.....	17
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
15. მიღებული სესხები	18
16. გადავადებული შემოსავალი.....	19
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
19. პირობითი ვალდებულებები	20
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	22
21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „კიოსკ ჯორჯიას“ დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კიოსკ ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღებით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – “პირობითი მოსაზრების საფუძველი” – ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან კომპანიამ არ ჩაატარა მარაგების სრული ინვენტარიზაცია. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 3,461,698 ლარით (2021: 943,086 ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილი შპს დანქინ დონატს ფრანჩაიზინგისგან (DUNKIN' DONUTS FRANCHISING LLC), ვისგანაც კომპანიას მიღებული აქვს ფრანშიზის უფლება. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით DUNKIN' DONUTS FRANCHISING -ის მიმართ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 1,071,025 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანების და 2022 წელს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხული 921,768 ლარის როიალტის ხარჯის სისწორის დადასტურება. შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთების და როიალტის ხარჯის სისწორეზე.

2022 წელს კომპანიამ შეირჩია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო - სს „დი ენდ ბი საქართველო“. სს „დი ენდ ბი საქართველოს“ შერწყმის შედეგად გადმოცემული აქტივების ნაწილი (ძირითადი საშუალებები) კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხა რეალური ღირებულებით ნაცვლად საბალანსო ღირებულებისა, რაც ეწინააღმდეგება კომპანიის მიერ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების შეძენის აღსარიცხად გამოყენებულ პოლიტიკას (იხილეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2). შედეგად კომპანიის აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია 3,702,779 ლარის ოდენობით, ასევე 2022 წლის ცვთის ხარჯი გაზრდილია 334,373 ლარით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსის-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე (მომზადების საფუძვლები - ფუნქციონირებადი საწარმო), სადაც აღწერილია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 15,199,559 ლარს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 19,988,856 ლარით აღემატება მოკლევადიან აქტივებს. კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მიიღო წმინდა ზარალი, 1,397,405 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რის გამოც შესაბამისი სასესხო ვალდებულება, ღირებულებით 14,329,473 ლარი, წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან

ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

26 აპრილი 2024 წელი

შპს „კიოსკ ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	27,959,365	7,656,482
სხვა შემოსავალი		263,905	41,464
მარაგის ხარჯი		(14,285,224)	(4,249,882)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(5,343,425)	(1,133,353)
იჯარის ხარჯები		(1,809,229)	(301,015)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,854,609)	(553,309)
როიალტის ხარჯი	6	(921,768)	(163,239)
სხვა ხარჯები	7	(3,626,727)	(852,213)
საოპერაციო მოგება		382,288	444,935
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(1,800,108)	(590,243)
ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული ზარალი, წმინდა		20,415	7,156
ზარალი დაბეგვრამდე		(1,397,405)	(138,152)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(1,397,405)	(138,152)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 26 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გ. მშვილდაძე

ფინანსური დირექტორი

გ. გვეტაძე

შპს „კიოსკ ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	5	27,959,365	7,656,482
სხვა შემოსავალი		263,905	41,464
მარაგის ხარჯი		(14,285,224)	(4,249,882)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(5,343,425)	(1,133,353)
იჯარის ხარჯები		(1,809,229)	(301,015)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,854,609)	(553,309)
როიალტის ხარჯი	6	(921,768)	(163,239)
სხვა ხარჯები	7	(3,626,727)	(852,213)
საოპერაციო მოგება		382,288	444,935
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	(1,800,108)	(590,243)
ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული ზარალი, წმინდა		20,415	7,156
ზარალი დაბეგვრამდე		(1,397,405)	(138,152)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(1,397,405)	(138,152)


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2024 წლის 26 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გ. მშვილდაძე

ფინანსური დირექტორი



გ. გვიტაძე

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	14,306,213	4,505,677
არამატერიალური აქტივები	10	1,491,103	221,339
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		308,457	-
გაცემული სესხები	11	-	1,334,013
		16,105,773	6,061,029
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	3,461,698	943,086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	978,162	309,685
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,322,918	82,292
		5,762,778	1,335,063
სულ აქტივები		21,868,551	7,396,092
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,644,400	1,644,400
დაგროვილი ზარალი		(15,199,559)	(402,354)
სულ კაპიტალი		(13,555,159)	1,242,046
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,873,894	470,933
გადავადებული შემოსავალი	16	798,182	-
		9,672,076	470,933
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	5,273,612	817,529
მიღებული სესხები	15	20,478,022	4,865,584
		25,751,634	5,683,113
სულ ვალდებულებები		35,423,710	6,154,046
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,868,551	7,396,092

11 – 29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31.12.2020		-	(59,681)	(59,681)
კაპიტალის შეტანა		1,644,400	-	1,644,400
მთლიანი სრული ზარალი		-	(138,152)	(138,152)
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	11,15	-	(204,521)	(204,521)
31.12.2021		1,644,400	(402,354)	1,242,046
მთლიანი სრული ზარალი		-	(1,397,405)	(1,397,405)
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	15	-	1,281,354	1,281,354
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება	4	-	(14,681,154)	(14,681,154)
31.12.2022		1,644,400	(15,199,559)	(13,555,159)

11 – 29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,397,405)	(138,152)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	1,854,609	553,309
ფინანსური ხარჯი, წმინდა	8	1,800,108	590,243
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან		(20,415)	(7,156)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		116,191	(356)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,353,088	997,888
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		714,738	1,014,708
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(660,454)	70,646
მარაგების ზრდა		(1,138,308)	(826,348)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		1,269,064	1,256,894
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,662,632)	(4,245,799)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		83,330	25,928
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		(308,457)	-
გაცემული სესხები		-	(1,681,400)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(107,317)	(210,456)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების შედეგად ფული და ფულის ეკვივალენტები შემოსვლა	4	877,962	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების შედეგად ფული და ფულის ეკვივალენტების გასვლა	4	(4,667,794)	-
მიღებული პროცენტები		-	185
გაცემული სესხის დაბრუნება		-	37,000
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები, წმინდა		(8,784,908)	(6,074,542)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		26,516,915	4,020,603
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა		(1,264,926)	(483,508)
მიღებული სესხების ძირის გადახდა		(16,435,029)	(317,131)
კაპიტალის შევსება		-	1,644,400
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან, წმინდა		8,816,960	4,864,364
წმინდა ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		1,301,116	46,716
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	82,292	43,809
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(60,490)	(8,233)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	1,322,918	82,292

11 – 29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კიოსკ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2020 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ ძირითადი საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2021 წლიდან. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

შპს „კიოსკ ჯორჯია“ წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ყავას, დონატებს, სენდვიჩებს, გაყინულ სასმელს და სხვა. კომპანია ოპერირებს შპს დანკინ დონატს ფრანჩაიზინგისგან (DUNKIN' DONUTS FRANCHISING LLC) მიღებული ფრანშიზის უფლებით.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405404003.

2. მომზადების საფუძველები

მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

მსს ფასს მე-19 განყოფილება „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ არ გამოიყენება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტის განყოფილება, რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის მსს ფასს მე-10 განყოფილების „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ 10.4 – 10.6 პუნქტის მიხედვით.

საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია იქნება:

- (ა) შესაბამისი მომხმარებელთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების; და
- (ბ) საიმედო, იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება: (i) სამართლიანად წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- (ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა მათ სამართლებრივ ფორმას;

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

(iii) იქნება ნეიტრალური, ე.ი. არ იქნება მიკერძოებული;

(iv) წინდახედული; და

(v) სრული ყველა არსებით ასპექტში.

10.4 პუნქტში აღნიშნული მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს შემდეგ წყაროებს და გაითვალისწინოს მათი გამოყენების შესაძლებლობა შემდეგი თანმიმდევრობით:

(ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და

(ბ) აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები, შეფასების კონცეფციები და სხვა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განხილულია მე-2 განყოფილებაში - „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“.

10.4 პუნქტში აღწერილი მსჯელობის დროს ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია ფასს სტანდარტების სრული ვერსიის მოთხოვნებისა და მითითებების გათვალისწინება, რომლებიც ეხება მსგავს და მონათესავე საკითხებს.

აღნიშნული ოპერაციების აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანია იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებით.

გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილი ზარალი შეადგენს 15,199,559 ლარს, ხოლო კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები 19,988,856 ლარით აღემატება მოკლევადიან აქტივებს. კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მიიღო წმინდა ზარალი, 1,397,405 ლარი. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რის გამოც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი სასესხო ვალდებულება, ღირებულებით 14,329,473 (2021: 4,521,880 ლარი) წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი გარემოებებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

- კომპანიის დამფუძნებლები გამოთქვამენ მზადყოფნას პირადად ან/და მათ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა საწარმოების საშუალებით, კომპანიას საჭიროების შემთხვევაში გაუწიონ დახმარება. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-20 შენიშვნაში.
- მიღებული სესხებიდან 8,952,214 ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.
- კომპანიამ 2023 წელს მიიღო სესხები, როგორც დაკავშირებული მხარეებისგან, ასევე ფინანსური ინსტიტუტისგან "აწარმოე საქართველოს" პროექტის ფარგლებში. ასევე, კომპანიამ მოახდინა ფინანსური ინსტიტუტისგან 2022 წელს მიღებული სესხის რეფინანსირება. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გახსნა ახალი 14 ობიექტები და დახურა 3 ობიექტი, რის შედეგადაც გაზარდა საოპერაციო საქმიანობა 2022 წელთან შედარებით. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.
- 2024 წელს კომპანიამ მოიპოვა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დარღვევების გამო, ბანკი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, მოთხოვნების დარღვევის გაგრძელების შემთხვევაში, განუსაზღვრელია ბანკი გამოიყენებს თუ არა ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებებს 2023 წლის 1 იანვრის შემდგომ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთის კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

4. საწარმოთა გაერთიანება

2022 წლის მაისში კომპანიამ იყიდა ორხევისა და ქუთაისის საწარმოები სს დი ენდ ბი საქართველოსგან. საწარმოების საბალანსო ღირებულება გადმოცემის მომენტისთვის შეადგენდა 965,015 ლარს, ხოლო რეალური ღირებულება (საწარმოს შესყიდვის მომენტში არსებული შეფასებული ღირებულება) 4,667,794 ლარს, შეძენილი აქტივები კომპანიამ აღრიცხა შეფასებული ღირებულებით. კომპანიის მიერ გადახდილმა კომპენსაციამ შეადგინა 4,667,794 ლარი.

2022 წლის აგვისტოში მოხდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება (სს დი ენდ ბი საქართველოს რეორგანიზაცია და შერწყმა შპს კიოსკ ჯორჯიასთან). ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ საბალანსო ღირებულებები განისაზღვრა გადმოცემული საწარმოს (სს დი ენდ ბის საქართველო) ფინანსური ანგარიშგებიდან. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ შპს კიოსკ ჯორჯიას ოპერაციებს და არ გადაანგარიშებულა ისე, თითქოს სს დი ენდ ბი საქართველოს რეორგანიზაციამდე მოხდა საწარმოთა გაერთიანება. გადმოცემული საწარმოსთვის კომპანიას არ გადაუხდია რაიმე კომპენსაცია.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

2022 წლის აგვისტოში გადმოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შერწყმის მომენტში შემდეგია:

აქტივები	22.08.2022
ძირითადი საშუალებები	2,470,418
არამატერიალური აქტივები	1,216,269
გაცემული სესხები	4,104,571
მარაგები	1,380,304
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	847,465
ფული და ფულის ეკვივალენტები	877,962
	10,896,989
ვალდებულებები	
მიღებული სესხები	(20,916,451)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,661,692)
წმინდა უარყოფითი აქტივები	(14,681,154)

5. ამონაგები

კომპანიის ამონაგებს წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელში ყავის, დონატების, სენდვიჩების, გაყინული სასმელების და სხვა საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საცალო რეალიზაცია	22,793,924	6,852,244
სხვა	5,165,441	804,238
	27,959,365	7,656,482

6. როიალტის ხარჯი

შპს დანკინ დონატს ფრანჩაიზინთან (DUNKIN' DONUTS FRANCHISING LLC) გაფორმებული ლიცენზიის ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ხსნის რესტორნებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის, კომპანიის როიალტის ხარჯი 2022 წელს შეადგენს 921,768 ლარს (2021 წელი: 163,239 ლარი).

შპს „კიოსკ ჯორჯია“**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. სხვა ხარჯები

	2022	2021
მიწოდების ხარჯები	(1,067,971)	(200,242)
კომუნალური ხარჯი	(957,206)	(223,389)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(426,562)	(146,389)
ბანკის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(297,044)	(114,534)
სახარჯი მასალები	(203,129)	(48,360)
მარკეტინგული ხარჯი	(152,179)	(16,854)
ტრანსპორტირების ხარჯი	(73,781)	(13,994)
ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯი	(72,761)	(24,242)
დაცვის ხარჯი	(61,345)	-
საკონსულტაციო და ტრენინგის ხარჯი	(45,738)	-
ძირითადი საშუალებების გასვლა	(13,352)	(15,426)
სხვა ხარჯები	(255,659)	(48,783)
	(3,626,727)	(852,213)

8. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ფინანსური ხარჯი	2022	2021
ფინანსური ინსტიტუტები	(1,022,397)	(516,825)
დაკავშირებული მხარე	(526,040)	(47,318)
სულ ფინანსური ხარჯი	(1,548,437)	(564,143)
 ფინანსური ინსტიტუტები		
დაკავშირებული მხარე	72,609	84,295
სულ ფინანსური შემოსავალი	72,609	84,295
 ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული ზარალი	(324,280)	(110,395)
	(1,800,108)	(590,243)

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	რესტორნის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერული ტექნიკა	ნაგებობები და კონსტრუქციები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2020	389,605	2,023	263,192	185,500	-	840,320
შემოსვლა	2,191,043	1,066,730	775,549	212,477	-	4,245,799
გასვლა	(7,810)	-	(22,906)	-	-	(30,716)
31.12.2021	2,572,838	1,068,753	1,015,835	397,977	-	5,055,403
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება-ისტორიული ღირებულება*	8,285,885	4,936,247	1,775,307	6,992	117,250	15,121,681
შემოსვლა	2,114,079	1,236,205	1,166,780	145,568	-	4,662,632
გასვლა	(134,113)	(68,330)	(31,740)	-	-	(234,183)
31.12.2022	12,838,689	7,172,875	3,926,182	550,537	117,250	24,605,533
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2020	(3,165)	(8)	(4,129)	(354)	-	(7,656)
ცვეთა	(351,126)	(27,439)	(149,833)	(18,816)	-	(547,214)
გასვლა	502	3,773	869	-	-	5,144
31.12.2021	(353,789)	(23,674)	(153,093)	(19,170)	-	(549,726)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება-დაგროვილი ცვეთა*	(5,092,087)	(1,532,830)	(1,295,919)	(708)	(61,925)	(7,983,469)
ცვეთა	(1,178,254)	(240,467)	(350,859)	(21,377)	(9,830)	(1,800,787)
გასვლა	20,673	3,707	10,282	-	-	34,662
31.12.2022	(6,603,457)	(1,793,264)	(1,789,589)	(41,255)	(71,755)	(10,299,320)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2021	2,219,049	1,045,079	862,742	378,807	-	4,505,677
31.12.2022	6,235,232	5,379,611	2,136,593	509,282	45,495	14,306,213

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა.

(*) - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანების შედეგად აქტივების შემოსვლა ორ ეტაპად განხორციელდა: 2022 წლის მაისში კომპანიამ იყიდა ორხევის და ქუთაისის საწარმოს ყველა აქტივი სს დი ენდ ბი საქართველოსგან. საწარმოს საბალანსო ღირებულება გადმოცემის მომენტისთვის შეადგენდა 965,015 ლარს, ხოლო რეალური ღირებულება (საწარმოს შესყიდვის მომენტში არსებული შეფასებული ღირებულება) 4,667,794 ლარს. შეძენილი აქტივები კომპანიამ აღრიცხა შეფასებული ღირებულებით.

2022 წლის აგვისტოში მოხდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება (სს დი ენდ ბი საქართველოს რეორგანიზაცია და შერწყმა შპს კიოსკ ჯორჯიასთან). შერწყმის შედეგად კომპანიას გადმოეცა ძირითადი საშუალებები, რომელთა ისტორიული ღირებულება გადმოცემის მომენტში შეადგენს 10,453,887 ლარს, ხოლო დაგროვილი ცვეთა 7,983,469 ლარს.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ფრანზიზის უფლება	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა	სულ
31.12.2020	-	17,051	17,051
შემოსვლა	210,454	-	210,454
31.12.2021	210,454	17,051	227,505
შემოსვლა	107,317	-	107,317
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება-ისტორიული ღირებულება	1,810,621	147,866	1,958,487
31.12.2022	2,128,392	164,917	2,293,309
დაგროვილი ამორტიზაცია			
31.12.2020	-	(71)	(71)
ამორტიზაცია	(3,659)	(2,436)	(6,095)
31.12.2021	(3,659)	(2,507)	(6,166)
ამორტიზაცია	(48,699)	(5,123)	(53,822)
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება-დაგროვილი ამორტიზაცია	(674,205)	(68,013)	(742,218)
31.12.2022	(726,563)	(75,643)	(802,206)
საბალანსო ღირებულება			
31.12.2021	206,795	14,544	221,339
31.12.2022	1,401,829	89,274	1,491,103

კომპანიის ყველა არამატერიალური ქონებრივი სიკეთით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-15 შენიშვნა.

11. გაცემული სესხები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები მოიცავს სს დი ენდ ბი საქართველოსთვის გაცემულ სესხს 1,334,013 ლარის ოდენობით. გაცემულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 7.6%.

გაცემული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი 284,102 ლარის ოდენობით, აისახა დაგროვილი ზარალის მუხლში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 2022 წლის 22 აგვისტოს შპს კიოსკ ჯორჯიასა და სს დი ენდ ბი საქართველოს საწარმოთა გაერთიანების შემდგომ მოხდა მოცემული სესხების ურთიერთგადაფარვა.

12. მარაგები

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და სხვა სარესტორნო მარაგი	2,478,776	697,742
რესტორნის აღჭურვილობა	974,021	243,683
სხვა	8,901	1,661
	3,461,698	943,086

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	68,803	10,136
არაფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო ავანსები	909,359	299,549
	978,162	309,685

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფული ბანკში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში	1,127,945	31,051
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	194,973	51,241
	1,322,918	82,292

15. მიღებული სესხები

საპროცენტო განაკვეთი		გრძელვადიანი	
		31.12.2022	31.12.2021
დაკავშირებული მხარე	11.7% – 15%	8,873,894	470,933
		8,873,894	470,933
საპროცენტო განაკვეთი		მოკლევადიანი	
		31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ინსტიტუტები*	საბაზისო განაკვეთს დამატებული 5.5% არანაკლებ 14.9% ისა 6 თვიან EURIBOR განაკვეთს დამატებული 8.5% არანაკლებ 8.5%	20,399,702	4,834,185
დაკავშირებული მხარე	14-16%	78,320	31,399
		20,478,022	4,865,584

(*) - ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხების ხელშეკრულებები ითვალისწინებს გარკვეულ არაფინანსურ შეზღუდვებს, რომლებიც კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა შეზღუდვებს სრულად და შესაბამისი გრძელვადიანი სესხები, საბალანსო ღირებულებით 14,329,473 და 4,521,880 ლარი, წარდგენილია მოკლევადიან ვალდებულებად. დამატებითი ინფორმაცია არაფინანსური შეზღუდვების შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

2021 წელს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება გრძელვადიან საკრედიტო ხაზზე სს დი ენდ ბი საქართველოსთან. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ამ ხელშეკრულების ფარგლებში აითვისა ჯამურად 502,604 ლარის ღირებულების სესხები, რომელთა სახელშეკრულებო პირობები იყო არასაბაზრო. მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტმა, ეფექტური 14.01% საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 79,581 ლარი.

2022 წლის 11 მაისს კომპანიამ დაკავშირებულ მხარესთან, სს დი ენდ ბი საქართველოსთან გააფორმა გრძელვადიანი 4,550,000 ლარის სესხის ხელშეკრულება, რომლის საწყისი აღიარების ეფექტმა, ეფექტური 14.51% საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების შედეგად შეადგინა 1,281,354 ლარი.

სს დი ენდ ბი საქართველოსგან მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია დაგროვილი ზარალის მუხლში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2022 წლის 22 აგვისტოს შპს კიოსკ ჯორჯიასა და სს დი ენდ ბი საქართველოს საწარმოთა გაერთიანების შემდგომ მოხდა მოცემული სესხების ურთიერთგადაფარვა.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია: დაკავშირებული მხარეების - სს ვისოლ ჯორჯია პეტროლეუმის უძრავი და მოძრავი ქონებებით, სამსონ და ლევან ფხაკაძეების თავდებობებით, რომელთა მაქსიმალურ თანხას შეადგენს 5,000,000 ლარს, სს ვენჯორჯიას თავდებობით, რომლის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, შპს კიოსკ ჯორჯიას საკუთრებაში არსებული და მომავალი მოძრავი ქონებით და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია: დაკავშირებული მხარეების - სს ვისოლ ჯორჯია პეტროლეუმის უძრავი და მოძრავი ქონებებით, სამსონ და ლევან ფხაკაძეების თავდებობებით, რომელთა მაქსიმალურ თანხას შეადგენს 5,000,000 ლარს, სს დი ენდ ბი საქართველოს თავდებობით, რომლის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, შპს კიოსკ ჯორჯიას საკუთრებაში არსებული და მომავალი მოძრავი ქონებით და არამატერიალური ქონებრივი სიკეთით.

კომპანია 2022 წლის 11 მაისიდან მონაწილეობს პროექტში „აწარმოე საქართველოში“. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 8,640,500 ლარის სესხი "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტისგან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი არის 8,369,285 ლარი, რომელთან დაკავშირებითაც 798,182 ლარი აღიარებულია როგორც გადავადებული შემოსავალი (დეტალისთვის იხილეთ მე-16 შენიშვნა). მოცემულ სესხზე კომპანია სარგებლობს საკრედიტო საგარანტიო სქემის პროგრამით, რაც წარმოადგენს სახელმწიფო გარანტიას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო გარანტია შეადგენს 5,049,007 ლარს.

16. გადავადებული შემოსავალი

კომპანია 2022 წლის 11 მაისიდან მონაწილეობს პროექტში „აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ.

პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს წარმოების/მომსახურების გაწევისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების და საბრუნავი საშუალებებისთვის მიღებული სესხების პროცენტს, საქართველოს მთავრობის N365 დადგენილებაში განსაზღვრული პროპორციების შესაბამისად. კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებულმა შემოსავალმა შეადგინა 798,182 ლარი. აღნიშნული გრანტის შემოსავლად აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოხდება სააგენტოს მიერ დაწესებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად დაკმაყოფილებული საგარანტიო სქემით მოთხოვნილი პირობები, შესაბამისად პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების თანხები აღიარებულია, როგორც გადავადებული შემოსავალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	4,578,939	632,655
სხვა ფინანსური ვალდებულებები	130,669	34,301
არაფინანსური ვალდებულებები:		
გადასახდელი გადასახადები	564,004	150,573
	5,273,612	817,529

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2022	31.12.2021
გაცემული სესხები	სხვა*	-	1,334,013
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა*	1,131,291	51,048
მიღებული სესხები	სხვა*	8,952,214	502,332

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	2022	2021
ამონაგები	სხვა*	101,011	5,013
სხვა ხარჯები	სხვა*	(304,269)	(106,087)
საიჯარო ხარჯები	სხვა*	(537,444)	(127,255)
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება		(76,343)	(15,000)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	სხვა*	(1,351,427)	(1,016,415)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	სხვა*	(453,431)	36,977

2022 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან შეიძინა 185,086 ლარის ღირებულების მარაგი (2021: 23,865 ლარი). ასევე, 2022 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიებისგან შეიძინა 576,881 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები (2021: 589,199 ლარი).

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს შერწყმის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

(*) - წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს.

19. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

შეუქცევადი საოპერაციო იჯარები

კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფართები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 35 წლამდე. კომპანიას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	31.12.2022	31.12.2021
1 წლამდე	2,464,913	438,616
1-დან 5 წლამდე	8,646,807	1,423,360
5 წელზე მეტი	20,087,233	4,880,657

სესხებთან დაკავშირებული შეზღუდვები

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სასესხო ხელშეკრულებები ითვალისწინებს შემდეგ შეზღუდვებს:

1. კლიენტი ვალდებულია ზანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე:

1.1. კლიენტმა, როგორც იურიდიულმა პირმა ან სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს არ დაუშვას ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია

1.2. არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან/და სხვაგვარად დატვირთვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

1.3. არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება (ან მისი/მათი ნაწილი) ან/და შეიძინოს ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის აქტივები/ქონება ან მისი/მათი ნაწილი გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ქმედება განხორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში;

1.4. არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის ან/და სხვა საბანკო პროდუქტების მიზნობრიობას ან/და განხორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში;

1.5. არ დაიკისროს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;

1.6. დივიდენდების გაცემა კლიენტს შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მხრიდან ადგილი არ აქვს ხელშეკრულების ან/და სხვა შეთანხმებების დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ ვალდებულებებთან ან/და დივიდენდის გაცემით არ იქმნება ამგვარი დარღვევის საშიშროება.

2. საკუთარი და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით, ხოლო ზანკის მოთხოვნის შემთხვევაში,

(ა) ამგვარი ანგარიშგების წარმოება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (International Financial Reporting Standards);

(ბ) ფინანსური ანგარიშგების შემოწმება უნდა მოხდეს ზანკისათვის მისაღები აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ.

3. ისარგებლოს მხოლოდ ზანკის პროდუქტებით ან/და მომსახურებით, მათ შორის, საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ზანკის მეშვეობით.

4. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ან/და სხვა პირობების დაცვა.

ხელშეკრულები ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე ან ნაწილობრივ შეწყვეტა ზანკის მიერ: თუ კლიენტი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების ნაწილს, რის გამოც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი სასესხო ვალდებულება, ღირებულებით 14,329,473 (2021: 4,521,880 ლარი), წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხები არის უზრუნველყოფილი მესამე მხარეების მიერ თავდებობებით. აღნიშნულთან დაკავშირებით არ მომხდარა ნაშთების კორექტირება არაარსებითობიდან გამომდინარე.

სახელმწიფო გრანტი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს ფინანსური ინსტიტუტისგან სესხი, რომელიც გაცემულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365-ე დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“, უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის თანადაფინანსებისა და საგრანტო მიმართულების შესაბამისად. მიღებული თანადაფინანსების სანაცვლოდ კომპანიას აქვს შესასრულებელი ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია ზემოთ მითითებულ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში.

სახელმწიფო გრანტი ითვალისწინებს დროის გრძელვადიან პერიოდში საგრანტო სქემით მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, 2022 წლის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სრულად დაკმაყოფილებული საგრანტო სქემით მოთხოვნილი პირობები, შესაბამისად პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების თანხები აღიარებულია, როგორც გადავადებული შემოსავალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დაკავშირებული მხარეებისგან სესხის მიღება

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ დაკავშირებულ მხარეებისგან მიიღო შემდეგი სესხები:

- 2023 წლის 28 თებერვალსა და 22 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე კომპანიამ სს "ვენჯორჯიასგან" მიიღო სესხი ჯამური ღირებულებით 2,181,000 ლარი, წლიური 14.1%-ით, მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა. ასევე, 2022 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წლის 16 თებერვალს მიიღო 250,000 ლარის ოდენობით სესხი სს "ვენჯორჯიასგან", წლიური 14.1 %-ით, გაცემული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.
- 2023 წლის 10 დეკემბერს შპს "კიოსკ ჯორჯიასა" და შპს "საბჯორჯიას" შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 1,000,000 ლარზე, წლიური 14.1%-ით, მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიას ათვისებული აქვს 550,000 ლარის სესხი.
- 2023 წლის 1 დეკემბერს შპს "კიოსკ ჯორჯიასა" და შპს "ვიენდის" შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 1,000,000 ლარზე, წლიური 14.1%-ით, მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიას ათვისებული აქვს 465,000 ლარის სესხი.
- 2023 წლის 1 დეკემბერს შპს "კიოსკ ჯორჯიასა" და შპს "ვ-ჯეო რესტორნებს" შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება 1,000,000 ლარზე, წლიური 14.1%-ით, მიღებული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2028 წლის 31 დეკემბრისა. მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიას ათვისებული აქვს 350,000 ლარის სესხი

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

ფინანსური ინსტიტუტისგან სესხის მიღება

- აწარმოე საქართველო - როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაშია მოცემული კომპანია 2022 წლის 11 მაისიდან მონაწილეობს პროექტში „აწარმოე საქართველოში“. კომპანიამ "აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში 2023 წლის 30 მაისს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით მიიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან 1,335,625 ლარი, სესხის პროცენტი განისაზღვრა წლიური საბაზისო განაკვეთს დამატებული 5.5%, მაგრამ არანაკლებ 14.9%-ისა. სესხის თანხა განკუთვნილია 5 რესტორნის გახსნისთვის: რესტორნის კეთილმოწყობის, დანადგარების შესაძენად და საბრუნავი საშუალების დაფინანსებისთვის. სესხის ხელშეკრულების ვადა არის 2030 წლის ოქტომბერი.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

- 2023 წელს შპს კიოსკ ჯორჯიამ მიიღო 300,000 ლარის სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან. მიღებული სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 1 წლით, აღნიშნული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 14%. მიღებული საკრედიტო სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.
- კომპანიამ 2023 წლის 15 მაისს მიიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან 5,008,623 ლარის ოდენობით (1,801,339 ევრო). სესხის დაფარვის ვადა განისაზღვრა 1 წლით, აღნიშნული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 9.5%. მიღებული საკრედიტო სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს არსებული კრედიტების რეფინანსირება. აღნიშნული სესხით კომპანიამ დაფარა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული იგივე ღირებულების მოკლევადიანი სესხი.

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები გაცემულია და უზრუნველყოფილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გენერალური სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

რესტორნების გახსნა/დახურვა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გახსნა ახალი 14 და დახურა 3 ობიექტი, რის შედეგადაც გაზარდა საოპერაციო საქმიანობა 2022 წელთან შედარებით.

დამფუძნებლის წერილი ფინანსირების შესახებ

2024 წლის 26 აპრილს დათარიღებული დამფუძნებლის წერილის მიხედვით ფინანსირების შესახებ, კომპანიის მფლობელები მზად არიან კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადონ დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ. კომპანიის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია შეძლებს პროგნოზირებად მომავალში გააგრძელოს საქმიანობა ოპერაციების მნიშვნელოვანდ შემცირების გარეშე.

მიღებული სესხების არაფინანსურ მოთხოვნებთან დაკავშირებული წერილი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილს, რასთან დაკავშირებითაც საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე, კომპანიამ მოიპოვა ბანკისგან წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ არსებული დარღვევების გამო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამსესხებელი არ ითხოვს სესხის ვადაზე ადრე დაფარვას, თუმცა, წერილში აღნიშნულია, რომ ბანკი უარს არ ამბობს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლების გამოყენებაზე თუ დარღვევები არ აღმოიფხვრება 2023 წლის 1 იანვრის შემდგომ.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

მსს ფასს მე-19 განყოფილება „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ არ გამოიყენება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტის განყოფილება, რომელიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის მსს ფასს მე-10 განყოფილების „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“ 10.4 – 10.6 პუნქტის მიხედვით.

საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია იქნება:

- (ა) შესაბამისი მომხმარებელთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებების; და
- (ბ) საიმედო, იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება: (i) სამართლიანად წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- (ii) გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა მათ სამართლებრივ ფორმას;
- (iii) იქნება ნეიტრალური, ე.ი. არ იქნება მიკერძოებული;
- (iv) წინდახედული; და
- (v) სრული ყველა არსებით ასპექტში.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

10.4 პუნქტში აღნიშნული მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს შემდეგ წყაროებს და გაითვალისწინოს მათი გამოყენების შესაძლებლობა შემდეგი თანმიმდევრობით:

(ა) წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და

(ბ) აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები, შეფასების კონცეფციები და სხვა ძირითადი პრინციპები, რომლებიც განხილულია მე-2 განყოფილებაში - „კონცეფციები და ძირითადი პრინციპები“.

10.4 პუნქტში აღწერილი მსჯელობის დროს ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია ფასს სტანდარტების სრული ვერსიის მოთხოვნებისა და მითითებების გათვალისწინება, რომლებიც ეხება მსგავს და მონათესავე საკითხებს.

აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანია იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებით.

გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. პროცენტური მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა**

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობები	20-50
ტექნიკური აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20
რესტორნის აღჭურვილობა	5-8
არამატერიალური აქტივი	
პროგრამული უზრუნველყოფა	7
ფრანშიზის უფლება	20

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დაგროვილი ზარალი

დაგროვილი ზარალი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდებში მიღებულ აკუმულირებულ შედეგს, ასევე კომპანიის დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული მიღებული/გაცემული სესხების დისკონტირების ეფექტს. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოადგენს ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქტია გადაცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

საწარმო სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

- ა) გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, აღიარდება შემოსავალში მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება;
- ბ) გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; და
- გ) თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვეთება შესაბამისი ხარჯებიდან.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით კომპანიას აღიარებული აქვს გადავადებული შემოსავალი.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	3
--	---

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა	4
განვითარების გეგმები	4
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	4
კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	7
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	7
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	7
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	7
ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს „კიოსკ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 26 აპრილს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული პირობების შესაძლო ეფექტის გარდა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2022 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

9 აგვისტო 2024

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კიოსკ ჯორჯია“ (ს/კ 405404003, შემდგომში კომპანია) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (რეგ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 20 ივლისს). კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,644,400 ლარს (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდათხუთას ოთხას) ლარს. კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი). საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია პარტნიორთა კრება, დირექტორი.

შპს „კიოსკ ჯორჯია“ წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ყავას, დონატებს, სენდვიჩებს, გაყინულ სასმელს და სხვა. კომპანია ოპერირებს შპს დანქინ დონატს ფრანჩაიზინგისგან (DUNKIN' DONUTS FRANCHISING LLC) მიღებული ფრანშიზის უფლებით.

კომპანია 2022 წლის დეკემბერში ოპერირებას უწევდა 69 სწრაფი კვების ობიექტს საქართველოს მასშტაბით. ყველა ობიექტი არის იჯარით აღებული მესამე ან დაკავშირებული მხარისგან.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 862 თანამშრომელს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 16 თანამშრომელს.

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით 2023 წელს დაგეგმილი აქვს რამდენიმე ახალი რესტორნების გახსნა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2022 და 2021 წლების მდგომარეობით EBITDA არის დადებითი. 2022 წლის მდგომარეობით შეადგენდა 2,257,312 ლარს და 2021 წლის მდგომარეობით 1,005,400 ლარს.

კომპანიის ამონაგები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 20,302,883 ლარით, ამონაგების ზრდის ტენდენცია ფიქსირდება 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდშიც. აღნიშნული ძირითადად იმით, რომ 2022 წელს მოხდა საწეთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოთა გაერთიანება კერძოდ;

- 2022 წლის მაისში კომპანიამ იყიდა ორხევისა და ქუთაისის საწარმოები სს დი ენდ ბი საქართველოსგან. საწარმოების საბალანსო ღირებულება გადმოცემის მომენტისთვის შეადგენდა 965,015 ლარს, ხოლო რეალური ღირებულება (საწარმოს შესყიდვის მომენტში არსებული შეფასებული ღირებულება) 4,667,794 ლარს, შეძენილი აქტივები კომპანიამ აღრიცხა შეფასებული ღირებულებით. კომპანიის მიერ გადახდილმა კომპენსაციამ შეადგინა 4,667,794 ლარი.
- 2022 წლის აგვისტოში მოხდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გაერთიანება (სს დი ენდ ბი საქართველოს რეორგანიზაცია და შერწყმა შპს კიოსკ ჯორჯიასთან). ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ საბალანსო ღირებულებები განისაზღვრა გადმოცემული საწარმოს (სს დი ენდ ბის საქართველო) ფინანსური ანგარიშგებიდან. გადმოცემული საწარმოსთვის კომპანიას არ გადაუხდია რაიმე კომპენსაცია.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2022 წელს შეადგინა 22%, ხოლო 2021 წელს 23%. აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით შეცვლილია რაც ძირითადად გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე ვალდებულებების ზრდით.

კომპანიის საოპერაციო მოგება 2022 წელს შეადგენდა 382,288 ლარს, ხოლო 2021 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 444,935 ლარს. მაჩვენებელში არსებითი ცვლილება გამოწვეულია საოპერაციო ხარჯების ზრდით, რაც ქსელის განვითარების თანამდევი პროცესია.

შპს „კიოსკ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2022	2021
ამონაგები	27,959,365	7,656,482
სხვა შემოსავალი	263,905	41,464
მარაგის ხარჯი	(14,285,224)	(4,249,882)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(5,343,425)	(1,133,353)
იჯარის ხარჯები	(1,809,229)	(301,015)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,854,609)	(553,309)
როიალტის ხარჯი	(921,768)	(163,239)
სხვა ხარჯები	(3,626,727)	(852,213)
საოპერაციო მოგება	382,288	444,935
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(1,800,108)	(590,243)
ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული ზარალი, წმინდა	20,415	7,156
ზარალი დაბეგვრამდე	(1,397,405)	(138,152)
მოგების გადასახადი	-	-
მთლიანი სრული ზარალი	(1,397,405)	(138,152)

შპს „კიოსკ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	14,306,213	4,505,677
არამატერიალური აქტივები	1,491,103	221,339
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	308,457	-
გაცემული სესხები	-	1,334,013
	16,105,773	6,061,029
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	3,461,698	943,086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	978,162	309,685
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,322,918	82,292
	5,762,778	1,335,063
სულ აქტივები	21,868,551	7,396,092
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,644,400	1,644,400
დაგროვილი ზარალი	(15,199,559)	(402,354)
სულ კაპიტალი	(13,555,159)	1,242,046
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	8,873,894	470,933
გადავადებული შემოსავალი	798,182	-
	9,672,076	470,933
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,273,612	817,529
მიღებული სესხები	20,478,022	4,865,584
	25,751,634	5,683,113
სულ ვალდებულებები	35,423,710	6,154,046
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	21,868,551	7,396,092

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია აგრძელებს 2022 წლის განმავლობაში დანერგილი ქართული კომპანიის „ფინას“ მიერ წარმოებული პროდუქტის იმპლემენტაციასა და გაუმჯობესებას, რითაც ერთი მხრივ ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, და მეორეს მხრივ კომპანიას აძლევს საშუალებას მომხმარებელს შესთავაზოს უნიკალური გამოცდილება რაც საბოლოო ჯამში კომპანიას უფრო ეფექტურად ფუნქციონირებაში უწყობს ხელს.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2022 და 2021 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

• **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც კომპანიას გააჩნია კლიენტებისადმი. კომპანიის მომხმარებლებს, ნორმალური საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

• **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) სეგმენტში არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს კომპანიის პროდუქტების შეძენა.

• **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2022 და 2021 წლებში არის დადებითი და შეადგენდა 1,269,064 ლარსა და 1,256,894 ლარს შესაბამისად. დამატებით, კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის აზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

• **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების კონტროლი და მონიტორინგი, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას.

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Dunkin Brands International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორება ხდება აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 9 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გივი გვეტაძე

შპს „კიოსკ ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Dunkin Brands International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.


• საბაზრო და სავალუტო რისკები

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორება ხდება აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 9 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი გვიტაძე